

სააქციო საზოგადოება „ლომისი“

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის
ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	11
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში	21
5. ძირითადი საშუალებები	23
6. მარაგები	24
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
9. სააქციო კაპიტალი	25
10. აღებული სესხები	26
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
12. შემოსავალი	27
13. რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	27
14. გაყიდვისა და მარკეტინგული ხარჯები	27
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	28
16. ფინანსური შემოსავალი	28
17. ფინანსური ხარჯები	28
18. ფინანსური ინსტრუმენტები	28
19. ტრანზაქციები მეკავშირე მხარეებთან	34
20. პირობითი ვალდებულებები	34
21. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	36
მმართველობის ანგარიში	37

სს ლომისი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „ლომისის“ („კომპანიის“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადებასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“). ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ☐ მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ☐ ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- ☐ დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ☐ კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- ☐ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მმართველობის ანგარიშში ინფორმაციის წარმოდგენაზე;
- ☐ ფინანსური ანგარიშგებებთან შესაბამისი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ☐ კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ☐ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-თან შესაბამისობას.
- ☐ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ☐ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- ☐ თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

სს ლომისი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს მმართველობის ანგარიში "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის აზრით, აუცილებელია იმგვარი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელშიც არ იქნება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი ცდომილება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ☐ მმართველობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულია "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- ☐ მმართველობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მოიცავს ინფორმაციას "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად;
- ☐ მმართველობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება აუდიტით შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2022 წლის 4 ივლისს:

ხელმძღვანელობის სახელით:

ერთან კურტი
გენერალური დირექტორი

2022 წლის 4 ივლისი
თბილისი, საქართველო

ჩარი კაია
ფინანსური დირექტორი

2022 წლის 4 ივლისი
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ლომისის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს „ლომისის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული პერიოდისათვის, ასევე ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე აღწერილობის ჩათვლით (ერთობლივად - „ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლის ფინანსურ საქმიანობისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (IESBA კოდექსი), ამასთან ერთად, ჩვენი საქმიანობისას ვიხელმძღვანელებთ IESBA კოდექსი სხვა ეთიკურ მოთხოვნებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენს მიერ მოპოვებული შემოწმების შედეგები შესაბამისი და საკმარისი საფუძველია ჩვენი დასკვნის მოსამზადებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციის წარდგენაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს და ჩვენ მასზე რაიმე ფორმის დასკვნას არ გამოვხატავთ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებული ცოდნასთან არსებითად შეუსაბამო ან ხომ არ არის ის სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავადგინეთ, რომ ამ სხვა ინფორმაციაში მოცემულია არსებითად მცდარი მონაცემი, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამის შესახებ. ამ თვალსაზრისით ჩვენ არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა მოვალეა მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის გონივრული მტკიცებულებები, რათა დავრწმუნდეთ, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმუნება მაღალი ხარისხის რწმუნებას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენა მოახდინოს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში ვიყენებთ პროფესიულ შეფასებას და ვინაჩრუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებას; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარ განზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის წარმოების თაობაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვეყნუ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა.

ჩვენი დასკვნა ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების მთლიან შემადგენლობას, სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, თუ რამდენად სწორად არის წარმოდგენილი განხორციელებული ტრანზაქციები და მოვლენები ანგარიშგებებში ასახული ინფორმაციით.

კომპანიის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, ვაწვდით ინფორმაციას შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილი მნიშვნელოვანი ხარვეზების შესახებ.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიშში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი ამავე კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენივე გადაწყვეტილების შესაბამისად განვახორციელეთ საჭირო პროცედურები, რომლებიც შევარჩიეთ, მათ შორის და არა მხოლოდ, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მმართველობის ანგარიშში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მმართველობის ანგარიშში მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას.

სრბუი ჰაკობიან
შპს „დელოიტი და ტუმის“ სახელით

4 ივლისი, 2022 წელი
თბილისი, საქართველო

სს ლომისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	44,851	43,946
არამატერიალური აქტივები		1,822	1,979
აქტივის გამოყენების უფლება		858	588
სულ გრძელვადიანი აქტივები		47,531	46,513
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	14,385	13,365
საგადასახადო აქტივები, წმინდა		32	4
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	18,156	13,172
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	22,052	10,588
სულ მიმდინარე აქტივები		54,625	37,129
სულ აქტივები		102,156	83,642
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	9	20	20
საემისიო კაპიტალი		5,441	5,441
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		10,911	(22,157)
სულ კაპიტალი		16,372	(16,696)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		504	522
აღებული სესხები	10	59,113	84,213
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		59,617	84,735
მიმდინარე ვალდებულებები			
აღებული სესხები	10	249	233
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	25,553	15,247
საიჯარო ვალდებულებები		365	123
სულ მიმდინარე ვალდებულებები		26,167	15,603
სულ ვალდებულებები		85,784	100,338
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		102,156	83,642

ხელმძღვანელობის სახელით:

ერთან კურტი
გენერალური დირექტორი

4 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო

ჩარი კაია
ფინანსური დირექტორი

4 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო

9-36 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ლომისი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	12	168,026	126,405
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(99,768)	(72,038)
მთლიანი მოგება		68,258	54,367
გაყიდვისა და მარკეტინგული ხარჯები	14	(21,671)	(18,724)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(14,489)	(12,997)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		1,039	1,126
სხვა საოპერაციო ხარჯები		(705)	(1,060)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი		(279)	-
საოპერაციო მოგება		32,153	22,712
ფინანსური შემოსავალი	16	4,081	857
ფინანსური ხარჯი	17	(3,166)	(17,184)
მოგება დაბეგრამდე		33,068	6,385
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება		33,068	6,385
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		33,068	6,385

ხელმძღვანელობის სახელით:

ერთან კურტი
გენერალური დირექტორი

4 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო

ჩარი კაია
ფინანსური დირექტორი

4 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო

9-36 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ლომისი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება / დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარის მდგომარეობით	20	5,441	(28,543)	(23,082)
სულ პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	6,386	6,386
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20	5,441	(22,157)	(16,696)
სულ პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	33,068	33,068
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20	5,441	10,911	16,372

ხელმძღვანელობის სახელით:

ერთან კურტი
გენერალური დირექტორი

4 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო

ჩარი კაია
ფინანსური დირექტორი

4 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო

9-36 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ლომისი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადამდე		33,068	6,386
კორექტირება:			
ცვეთა და ამორტიზაცია	13, 14, 15	12,977	13,108
ფინანსური ხარჯი	17	3,166	4,664
საკუროს სხვაობით მიღებული (მოგება)/ზარალი, წმინდა	16, 17	(3,394)	12,298
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვი		279	-
მარაგების რეზერვი, წმინდა	6	-	(41)
ფასდაკლების რეზერვი, წმინდა		-	(9)
ფინანსური შემოსავალი	16	(687)	(857)
წმინდა მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	(2)
არაფულად ერთეულებზე კორექტირებული წმინდა შემოსავალი		45,409	35,547
ზრდა მარაგებში		(1,020)	(2,910)
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(5,343)	98
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		12,037	(1,960)
ზრდა საგადასახადო აქტივებში, წმინდა		(28)	(470)
გადახდილი პროცენტი		(3,444)	(4,583)
მიღებული პროცენტი		687	857
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნაღდი ფული		48,298	26,579
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	5	(13,570)	(7,253)
არამატერიალური აქტივებიდან მიღებული შემოსავალი /			
(არამატერიალური აქტივების შესყიდვა)		134	(1,659)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული შემოსავალი		38	19
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		(13,398)	(8,893)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
დამფუძნებლისგან აღებული სესხების დაფარვა	10	(20,731)	(25,144)
საიჯარო ვალდებულებების გადახდა		(426)	(292)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		(21,157)	(25,436)
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება უცხოურ ვალუტაში			
არსებულ ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(2,279)	2,923
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		11,464	(4,827)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8	10,588	15,415
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	8	22,052	10,588

ხელმძღვანელობის სახელით:

ერთან კურტი
გენერალური დირექტორი

4 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო
9-36 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე

ჩარი კაია
ფინანსური დირექტორი

4 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო
ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია 1997 წლის 16 მაისს დაფუძნდა და ფუნქციონირებს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას შეზღუდული აქციებით.

2020 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო დამფუძნებელს წარმოადგენდა „Efes Breweries International N.V.“, კომპანიის ძირითადი მაკონტროლებელი მხარეა „Anadolu Efes Group“.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ლუდისა და გაზიანი უალკოჰოლო სასმელების წარმოება და საბითუმო გაყიდვა საქართველოსა და საზღვარგარეთ. კომპანიის საწარმოო ინფრასტრუქტურა განთავსებულია საქართველოში, სოფელ ნატახტარში.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი, საქართველო.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 333 და 394 შესაბამისად.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2022 წლის 4 ივლისს.

2. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

2021 წელს კომპანიამ გამოიყენა შემდეგი ახალი და გადასინჯული სტანდარტები:

- **ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა** - მე-2 ფაზა (შესწორება სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16)

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ბასსს) გამოსცა „ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - მე-2 ფაზა (შესწორებები სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16)“ ისეთ პრობლემებზე მიმართული შესწორებებით, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიონ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შემდეგ, ალტერნატიული ამოსავალი განაკვეთებით ჩანაცვლების ჩათვლით. შესწორებები ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

მე-2 ფაზის შესწორებების მიხედვით:

როდესაც კომპანიის მიერ აღებული სესხების საკონტრაქტო პირობები იცვლება და ახალ ვარიანტში გათვალისწინებულია ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა, ხოლო სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დასადგენი ახალი საფუძველი ეკონომიკურად შეესაბამება იმ საფუძველს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ცვლილებამდე არსებულს, კომპანია პროსპექტიულად ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დადგენის საფუძველს და ამისათვის აკორექტირებს მოქმედ საპროცენტო განაკვეთს.

თუ ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად მოხდა იჯარის მოდიფიცირება და საიჯარო გადახდების დასადგენი ახალი საფუძველი ეკონომიკურად შეესაბამება იმ საფუძველს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ცვლილებამდე არსებულს, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, რათა ასახოს კორექტირებული და ახალი დისკონტირების განაკვეთით დისკონტირებული საიჯარო გადახდები, რომლებშიც გათვალისწინებულია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დასადგენი საფუძველის ცვლილება

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

აღნიშნული შესწორებების გამოყენება კომპანიას საშუალებას აძლევს, ბანკთაშორის განაკვეთებიდან ალტერნატიულ ამოსავალ საპროცენტო განაკვეთებზე (იგივე „ურისკო განაკვეთები“) გადასვლის ეფექტი ისე ასახოს აღრიცხვაში, რომ ამით არ გამოიწვიოს სააღრიცხვო ეფექტი, რაც არ მისცემდა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს მისთვის სასარგებლო ინფორმაციას. კომპანიას წინა პერიოდის გადაფასება არ გაუკეთებია.

- **კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა** 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16).

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ბასსს) გამოსცა „კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16)“, რომელიც ერთი წლით ახანგრძლივებს 2020 წლის მაისის შესწორების მოქმედებას. ამ შესწორებით მოიჯარეს უფლება ჰქონდა, თავად გადაეწყვიტა, იყო თუ არა კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია.

აღნიშნული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გამოყენება კომპანიის ხელმძღვანელობამ მიმოიხილა, მაგრამ მათ არ ჰქონიათ საგრძნობი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

ახალი ან რედაქტირებული სტანდარტი ან ინტერპრეტაცია	ძალაშია შემდეგ თარიღში ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის
ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტში ფასს 4 - სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტში ბასს 1 - ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებზე (ფასს სტანდარტების გაუმჯობესების 2010-2012 წლების ციკლის ფორმულირების პროექტის ფარგლებში)	1 იანვარი 2023
სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება (შესწორება სტანდარტში ბასს 8)	1 იანვარი 2023
სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება - (შესწორება სტანდარტში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ)	1 იანვარი 2023
მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე (შესწორება სტანდარტში ფასს 3)	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 16 - ძირითადი საშუალებები - დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ – „მომხმედებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი“	1 იანვარი 2022
შესწორებები სტანდარტში ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, ბასს 41 - სოფლის მეურნეობა და ბასს 16 - იჯარა სტანდარტზე დართული საილუსტრაციო მაგალითები	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 12 - ერთჯერადი ტრანზაქციიდან მიღებულ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის.	თარიღს დაადგენს ბასსს

კომპანია არ მოელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების გამოყენებას მომავალ პერიოდებში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და ოპერირებას გააგრძელებს განჭვრეტად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მომენტისათვის, ხელმძღვანელობას გონივრული მოლოდინი აქვს, რომ კომპანიას საკმარისი რესურსები გააჩნია ფუნქციონირებად მდგომარეობაში დარჩეს განჭვრეტად მომავალში. ამდენად, ისინი კვლავაც განაგრძობენ ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის საფუძველზე აღრიცხვას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

აღრიცხვის საფუძველები. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად პირვანდელი ღირებულებების საფუძველზე. პირვანდელი (ისტორიული) ღირებულება ეფუძნება საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გაცემული ფასეული აქტივების რეალურ ღირებულებას.

ქვემოთ აღწერილია ფინანსური ანგარიშგებების მომზადების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები. ეს პოლიტიკები გავრცელდა ყველა წარმოდგენილ საანგარიშგებო პერიოდზე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან სხვა შეფასების მეთოდით შეფასებადი. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის ჩვეულებრივი (სამართლიანი) ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე. აღნიშნული არ ეხება ტრანზაქციებს აქციებზე დაფუძნებულ გადახდით, რომლებიც რეგულირდება ფასს 2-ით, საიჯარო ტრანზაქციებს, რომლებიც რეგულირდება ბასს 17-ით და ისეთ ღირებულებებს, რომლებიც ჩვეულებრივი ღირებულების მსგავსია, მაგრამ არ არის, მაგალითად, ბასს 2-ით გათვალისწინებული წმინდა რეალიზებადი ღირებულება ან ბასს 36-ით გათვალისწინებული გამოყენების ღირებულება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ჩვეულებრივი (სამართლიანი) ღირებულების გაზომვა კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია ის მონაცემები, რომლის მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ასხნილია ქვემოთ:

- ☐ 1-ლი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- ☐ მე-2 დონისა კომპონენტები, გარდა 1-ელ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- ☐ მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

სამუშაო ვალუტა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია კომპანიის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს ძირითად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტაა ლარი. ყველა თანხა უახლოეს ათასობით ლარამდეა დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლელა და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები და შემოსავლები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქვეთება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ იძლევა, რაც შესაბამისად უნდა იყოს განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

შემოსავალი. კომპანია აწარმოებს და საბითუმო ბაზარზე ყიდის ლუდისა და გაზირებული უალკოჰოლო სასმელების რამდენიმე დასახელებს. გაყიდვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება პროდუქტზე კონტროლის გადაცემა, კერძოდ, როდესაც პროდუქტი მიეწოდება საბითუმო გამყიდველს, ამ უკანასკნელს ენიჭება უფლებამოსილება პროდუქტების გასაღების არხისა და ფასის დადგენაზე და კომპანიას აღარ აქვს შეუსრულებელი ვალდებულება, რაც იმოქმედებდა საბითუმო გამყიდველის მიერ პროდუქტების მიღებაზე. მიწოდება ხორციელდება მაშინ, როდესაც პროდუქტი იტვირთება კომპანიის საწყობში, დამკველების და დანაკარგის რისკები გადადის საბითუმო გამყიდველზე და ეს უკანასკნელი პროდუქტებს იღებს გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისი დებულებების მიხედვით.

კომპანია შესრულების ვალდებულებას ყველა შემდეგ შეთავაზებაზე აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან თითოეულ შეთავაზებაზე არის შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

შემოსავალი აღიარდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით. გაყიდვის პირობების მიხედვით, შემოსავლის ოდენობას აკლდება ფასდათმობები მოცულობის ან ღირებულების მიხედვით, რომლებიც დილერებზე ან გაყიდვის წერტილებზეა გათვალისწინებული.

კლიენტის ხასიათიდან გამომდინარე, კომპანია სხვადასხვა ტიპის ფასდათმობის სქემას იყენებს. ფასდათმობები უმეტესწილად პირობებზეა დამოკიდებული, მათ შორის, მოცულობისა და ღირებულების სამიზნე მაჩვენებლებზე. პირობითი ფასდათმობის აღიარება ხდება შეფასებული სამიზნე რეალიზაციის საფუძველზე. შეფასება ეყრდნობა წარსული და ამჟამინდელი გაყიდვების ინფორმაციით მიღებულ დაგროვილ გამოცდილებას. ფასდათმობის დარიცხვის აღიარება ხდება ყოველ საანგარიშგებო დღეს კლიენტებისათვის მიცემული ფასდაკლების მიხედვით, ამ თარიღამდე მოსალოდნელი ან ფაქტობრივი გაყიდული მოცულობის ან ღირებულების საფუძველზე. ფასდათმობა აღირიცხება როგორც შემოსავლის შემცირება. მისი კლასიფიცირება საოპერაციო ხარჯად ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კლიენტისთვის გადახდილი თანხა კონკრეტულ მომსახურებასთან ასოცირდება.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივიდან აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. საპროცენტო შემოსავალი ირიცხება დროით საფუძველზე, დარჩენილი ძირითადი თანხისა და გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც არის ის განაკვეთი, რომლითაც ზუსტად ხდება საპროცენტო მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირება ფინანსური აქტივის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ამ აქტივის თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია ხელშეკრულების დადებისას აფასებს რამდენად წარმოადგენს ან შეიცავს ხელშეკრულება საიჯარო პირობებს. კომპანია აღიარებს საიჯარო აქტივებსა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებებს ყველა საიჯარო ურთიერთობების შემთხვევაში, სადაც ის წარმოადგენს მოიჯარე მხარეს. გამოწვევად იქცევა მოკლევადიანი იჯარები (იჯარის ვადა 12 თვე ან უფრო ნაკლები) და იჯარის ხელშეკრულებები მცირე ღირებულების აქტივების შესახებ (როგორიცაა პლანშეტები, პერსონალური კომპიუტერები, მცირე ზომის საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ასეთი იჯარების შემთხვევაში კომპანია საოპერაციო ხარჯებად აღიარებს საიჯარო გადახდებს იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პირდაპირი დარიცხვის გზით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საიჯარო აქტივებით სარგებლობის პერიოდში სისტემური აღრიცხვის სხვა უფრო წარმომადგენლობითი მეთოდი არ დადგინდა.

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

საიჯარო ვალდებულებები ფასდება იჯარის დაწყების დღეს არსებული გადაუხდელი საიჯარო ქირის მიმდინარე ღირებულებით, საიდანაც გამოიქვითება იჯარის ხელშეკრულებაში გარკვევით მითითებული განაკვეთი. ხოლო თუ ხელშეკრულებაში არაა განაკვეთი ცალსახად აღნიშნული, კომპანია იყენებს მის მზარდ სასესხო განაკვეთს.

საიჯარო ვალდებულებებში შემავალი საიჯარო გადახდები მოიცავს:

- ☐ ფიქსირებულ საიჯარო ქირას (მათ შორის ძირითადი ფიქსირებული გადასახადი), საიდანაც გამოიქვითება ნებისმიერი საიჯარო შეღავათი;
- ☐ ცვლადი საიჯარო ქირა, რომელიც დამოკიდებულია ინდექსსა თუ განაკვეთზე, იზომება იჯარის დაწყების დღიდან დადგენილი ინდექსითა თუ განაკვეთით.
- ☐ ნარჩენი ღირებულების გარანტიის სახით მოიჯარის მიერ გადასახდელი თანხა;
- ☐ უპირატესი შესყიდვის ოფციის გამოყენების ღირებულება, თუ მოიჯარე გადაწყვეტს ამ ოფციის გამოყენებას; და
- ☐ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მისი ვადამდე შეწყვეტის შესაძლებლობა.

საიჯარო ვალდებულებები ცალკე პუნქტად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შემდგომ, საიჯარო ვალდებულებები ფასდება ქირაზე დარიცხული საპრცენტო განაკვეთის ოდენობით საბალანსო ღირებულების გაზრდით (გამოიყენება ეფექტური პროცენტის მეთოდი) და საბალანსო ღირებულების შემცირებით უკვე გადახდილი ქირის ოდენობით.

კომპანია საიჯარო ვალდებულებებს აფასებს (და შეიტანს შესაბამის ცვლილებებს საიჯარო აქტივთან დაკავშირებით) მაშინ, როცა:

- ☐ თუ შეიცვლება იჯარის ვადა ან მნიშვნელოვანი გარემოებისა თუ ცვლილების გამო მოხდება უპირატესი შესყიდვის ოფციის გამოყენებისათვის დადგენილი ფასის ცვლილება. ამ შემთხვევაში გადაფასდება საიჯარო ვალდებულებები საიჯარო ქირის შემცირებული ოდენობით, ახალი ფასდაკლების განაკვეთის შესაბამისად.
- ☐ თუ შეიცვლება საიჯარო ქირის ოდენობა ინდექსისა თუ განაკვეთის ცვლილების, ან გარანტირებული ნარჩენი ღირებულების შესაბამისად მოსალოდნელი გადასახადის ცვლილების შედეგად. ამ შემთხვევაში ხდება საიჯარო ვალდებულების გადაფასება საიჯარო ქირის შემცირებული ოდენობებით, ფასდაკლების უცვლელი განაკვეთის შესაბამისად (გარდა იმ შემთხვევისა, როცა საიჯარო ქირის ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო, ამ შემთხვევაში გამოიყენება განახლებული ფასდაკლების განაკვეთი).
- ☐ თუ განხორციელდება ცვლილება ხელშეკრულებაში და იჯარის ცვლილება არ გატარდა ცალკე ხელშეკრულების სახით. ამ შემთხვევაში შეცვლილი ხელშეკრულებების პირობების მიხედვით გადაფასდება საიჯარო ვალდებულებები საიჯარო ქირის შემცირებული ოდენობით, განახლებული ფასდაკლების განაკვეთის შესაბამისად, ცვლილების ძალაში შესვლის თარიღით.

კომპანიას წარმოდგენილ საანგარიშგებო პერიოდში არ განუხორციელებია რაიმე მსგავსი ცვლილება.

საიჯარო აქტივი შედგება შესაბამისი საიჯარო ვალდებულებებისგან, თავდაპირველი შეფასებით, იჯარის დაწყების თარიღამდე ან შემდგომ გადახდილი საიჯარო ქირისგან, რასაც გამოაკლდება ნებისმიერი სახის მიღებული საიჯარო შეღავათი და ნებისმიერი საწყისი პირდაპირი ხარჯი. შემდგომ ეტაპზე აქტივები ფასდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის ოდენობის გამოკლებით.

როდესაც კომპანიას წარმოეშობა ვალდებულება აანაზღაუროს საიჯარო აქტივის გამოთავისუფლებისა და დემონტაჟის ხარჯები, აღადგინოს აქტივის განთავსების ადგილი ან ობიექტი მოიყვანოს საიჯარო ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში, ასეთი ხარჯი შეფასდება ბასს 37-ის შესაბამისად. რადგან ხარჯი უკავშირდება საიჯარო აქტივს, ხარჯები გატარდება ამ აქტივზე, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს ხარჯები მარაგების შექმნას არ ისახავს მიზნად.

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

საიჯარო აქტივის გაუფასურება/ცვეთა გადანაწილდება იჯარის ვადასა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმოკლეს პერიოდზე. თუ იჯარა ითვალისწინებს აქტივის საკუთრებაში გადაცემას, ან საიჯარო აქტივზე გაწეული ხარჯის საფუძველზე ივარაუდება, რომ კომპანია გეგმავს უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებას, ამგვარი აქტივის ცვეთა დაირიცხება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ცვეთის დარიცხვა იწყება იჯარის დაწყების დღიდან.

საიჯარო აქტივები ცალკე პუნქტად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კომპანია საიჯარო აქტივების გაუფასურების განსაზღვრისას იყენებს ბასს 36 სტანდარტს და აღრიცხავს საიჯარო აქტივების იდენტიფიცირებული ცვეთის ხარჯს „ძირითადი საშუალებები“ პოლიტიკის შესაბამისად.

საიჯარო ვალდებულებებსა და საიჯარო აქტივებში არ ხდება ცვლადი იჯარების გათვალისწინება, რომლებიც არაა დამოკიდებული ინდექსსა თუ განაკვეთზე. დაკავშირებული გადახდები გატარდება იმ პერიოდის ხარჯების სახით, რომელშიც დადება ამ გადახდების გამომწვევი მოვლენა ან გარემოება.

ფასს 16, როგორც გამოსაყენებელი მეთოდი, არ ითხოვს მოიჯარისაგან არასაიჯარო კომპონენტების გამოცალკევებას, და უშვებს ნებისმიერი სახის იჯარისა და არასაიჯარო კომპონენტების ერთად გატარებას. კომპანია არ იყენებს ამ მეთოდს. ისეთი ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც შეიცავს ერთ საიჯარო კომპონენტს და ერთ ან რამდენიმე დამატებით საიჯარო ან არასაიჯარო კომპონენტს, კომპანია სახელშეკრულებო ანაზღაურების შესაბამის ნაწილს აკავშირებს თითოეულ საიჯარო კომპონენტთან განცალკევებული შეფარდებითი ფასით, ხოლო არასაიჯარო კომპონენტთან - საერთო ფასიდან გამოანგარიშებული გამოცალკევებული ფასით.

უცხოური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. რეალური (სამართლიანი) ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი რეალური ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31/12/2021	31/12/2020
GEL/USD	3.0976	3.2766
GEL/EUR	3.5040	4.0233

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელო. თანამშრომელთა მიმართ ხელფასების, წლიური შვებულების ხელფასისა და ავადმყოფობის გამო შვებულების ანაზღაურების ხარჯები ვალდებულებად აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევის პერიოდში ამ მომსახურებაში გადასახდელი ბენეფიტების არადისკონტირებული ღირებულებით.

თანამშრომელთა მოკლევადიან ბენეფიტებზე აღიარებული ვალდებულებები აისახება თანამშრომლის მიერ გასაწევი მომსახურებისათვის გასაცემი ბენეფიტის არადისკონტირებული ოდენობით.

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი აღირიცხება საანგარიშგებო დღისათვის საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი ან არსებითად მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიცემოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- ☐ განაწილებული მოგება;
- ☐ გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- ☐ საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- ☐ წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

გარდა განაწილებული მოგების გადასახადისა, სხვა ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“.

დაბეგვრის ახალი მოდელის ამოქმედების შედეგად, ტერმინი „აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისი“ კარგავს ეკონომიკურ მნიშვნელობას და ბასს 12-ის „მოგების გადასახადები“ შესაბამისად განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები კომპანიების დაბეგვრის ახალ მოდელში აღარ მოქმედებს.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციის კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ურთიერთგათვლას წმინდა ოდენობით. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარდება წმინდა ოდენობებით. თუ მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან მოყოლებული, ხელმძღვანელობა კომპანიის საგადასახადო ნაშთებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის ბრძანება #407-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თვითღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალის რეზერვი (საჭიროების შემთხვევაში).

მცირე მასშტაბის შეკეთების ხარჯები აღიარდება მათი განხორციელების დროს. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების ჩამოწერა.

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა შემოსავალსა და ხარჯებში.

ცვეთა. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე. გაანგარიშებული სასარგებლო მოხმარების ვადები, ნარჩენი ღირებულებები და ცვეთის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და პროგნოზის ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად. ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური განაკვეთებით:

**სასარგებლო
მოხმარების ვადა,
წელი**

შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	6-11
სატრანსპორტო საშუალებები	7
ავეჯი	7
სხვა ძირითადი საშუალებები	2-7

ნარჩენი ღირებულება არის ის შეფასებული ღირებულება, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალებების ამ ერთეულის რეალიზაციით, რეალიზაციის შეფასებული ხარჯების გამოკლებით, ეს აქტივი რომ იყოს იმ ასაკისა და მდგომარეობის, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მოხმარების ვადის ბოლოს. ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მოხმარების ვადები გადაიხედება თითოეული ფინანსური წლის ბოლოს და კორექტირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარება უქმდება რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც ამ აქტივის მოხმარებით ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება. ნებისმიერი მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ნიშნების არსებობაზე. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება გაუფასურების ზარალის მასშტაბები (თუ ასეთი არსებობს). თუ ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების შეფასება შეუძლებელია, კომპანია აფასებს იმ შემოსავლის მომტანი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი განეკუთვნება. თუ ღირებულების განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კომპანიის აქტივები აგრეთვე ნაწილდება შემოსავლის მომტან ინდივიდუალურ ერთეულებზე. სხვა შემთხვევაში ხდება მათი მიკუთვნება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვისაც განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება არის რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელშიც ასახულია ფულის დროში ღირებულების ბაზრისეული შეფასება და აქტივისთვის დამახასიათებელი ის რისკები, რომელთა მიხედვით მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზი არ კორექტირდება.

თუ შეფასებით დადგინდა, რომ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება, მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მის აღდგენით ღირებულებამდე მცირდება. გაუფასურების დანაკარგი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შესაბამისი აქტივი გადაფასებული ღირებულებით არ არის შეფასებული, რა დროსაც გაუფასურების დანაკარგი განიხილება როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

შემდგომში გაუფასურების დანაკარგის გაუქმების შემთხვევაში, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მის კორექტირებულ საპროგნოზო აღდგენით ღირებულებამდე იზრდება, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ისეთ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა დადგენილი ამ აქტივისთვის წინა წლებში მასზე (ან შემოსავლის მომტან ერთეულზე) გაუფასურების დანაკარგის აღიარება რომ არ მომხდარიყო. გაუფასურების დანაკარგის გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ყოველ წელიწადში ერთხელ კომპანია ახორციელებს მარაგების 100%-ით შემოწმებას. ხდება განცალკავება წლის განმავლობაში გამოვლენილი გამოუსადეგარი, ტექნიკურ მოთხოვნებთან შეუსაბამო და დაზიანებული პროდუქტებისა.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, თუ მასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შესაძლებელი იქნება ერთი წლის შემდეგ, ან თუ ის დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას თავად ჩაითვლება გრძელვადიანად. აქტივების შემენაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და სავარაუდო გახდება მის მიერ აქტივთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება მათთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ აქტივებს, საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და გაუფასურების შესაბამისი ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

რეზერვები. რეზერვები აღიარდება, როდესაც კომპანიას უჩნდება მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) წარსული მოვლენის გამო, სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

რეზერვად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო დღეს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვი ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება (თუ ფულის დროში ღირებულების ეფექტი საკმარისად დიდია).

თუ რეზერვის დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ იზომება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება. ისინი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განიმარტება, თუ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების პერსპექტივა არც ისე შორეულია. პირობითი აქტივების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, მაგრამ ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში განიმარტება, თუ სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მიღება.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც პირი ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით. ამ დროს მათ ჩვეულებრივ ღირებულებას ემატება ან აკლდება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას (გარდა მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა). მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი აისახება ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, მისი კლასიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით აღსარიცხი. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ბუნებაზე და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით ასახავს, თუ სრულდება ორივე შემდეგი პირობა:

- ☐ ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ☐ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI ტესტი). ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც შემდეგ პირობებს აკმაყოფილებს, შემდგომში აღირიცხება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში:

- ☐ ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებითა და ფინანსური აქტივის გაყიდვით; და
- ☐ ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდებს.

სტანდარტულად, ყველა სხვა ფინანსური აქტივი შემდგომში აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას გამოიყენოს შემდეგი შეუქცევადი გადაწყვეტა/დადგენა:

- ☐ კომპანიამ შეიძლება შეუქცევადად გადაწყვიტოს, წილობრივი ინვესტიციის რეალური ღირებულების შემდგომი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში; და
- ☐ კომპანიამ შეიძლება შეუქცევადად დაადგინოს ისეთი სავალი ინვესტიცია, რომელიც აკმაყოფილებს სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ასახულის ან ამორტიზებული ღირებულებით ასახულის კრიტერიუმს, თუ ამით მოხდება ბუღალტრული შეუსაბამობის სრული აღმოფხვრა ან მნიშვნელოვნად შემცირება.

არსებული გამოცდილების საფუძველზე, კომპანია ყველა აქტივს ფლობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. აქტივები პირველ ბიზნეს-მოდელში კლასიფიცირდება - „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“.

ამორტიზებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი.

ფინანსური აქტივებისათვის, გარდა შესყიდული ან წარმოშობილი ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის ფინანსური აქტივებისა (ე.ი. ის აქტივები, რომელთა საკრედიტო რეიტინგი ხარვეზიანია საწყისი აღიარებისას), ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებას (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდილი ან მისაღები საკომისიოებისა და ქვლების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს), მაგრამ არ ახდენს დისკონტირებას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში. შესყიდული ან წარმოშობილი ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კრედიტზე კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იანგარიშება საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებითა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით, საწყისი აღიარებისას სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება არის ის ღირებულება, რომლითაც ფინანსური აქტივი აისახება საწყისი აღიარებისას, ძირითადად გადახდების გამოკლებითა და ჯამური ამორტიზაციის დამატებით, საწყის ოდენობასა და ვადის გასვლისას ოდენობას შორის სხვაობაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელიც კორექტირებულია დანაკარგების რეზერვზე. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება დანაკარგების რეზერვის შექმნამდე.

შემდგომში სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით აღიარებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის შესყიდული ან წარმოშობილი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც საკრედიტო ხარისხი შემდგომში გაუუარესდათ (იხილეთ ქვემოთ). ამ უკანასკნელი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი გაუმჯობესდა და ეს ფინანსური აქტივი ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის აღარ არის, საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება მის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის შესყიდული ან წარმოშობილი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს თავდაპირველად აღიარებულ ამორტიზებულ ღირებულებაზე კრედიტზე კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გამოთვლა მთლიან ღირებულებაზე არ გადადის მაშინაც კი, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი უმჯობესდება და ეს აქტივი ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის ფინანსურ აქტივად აღარ ითვლება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ ვკოტირდება აქტიურ ბაზარზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკებში მოთხოვნამდე ან სამ თვეზე ნაკლები ვადის დეპოზიტებზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად კომპანია იყენებს ფასს 9-ით გათვალისწინებულ გამარტივებულ მიდგომას, რომელშიც ყველა სავაჭრო მოთხოვნისათვის გამოყენებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (მსზ) მათი არსებობის მანძილზე. კომპანია მიმართავს რეზერვების მიდგომას, რომელიც მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება, რომელიც კორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსათვის დამახასიათებელი ფორვარდული ფაქტორებით. გაუფასურების მოდელთან ერთად კომპანია აგრეთვე იყენებს დებიტორების საკრედიტო რეიტინგებს, რომლებსაც გარე წყაროებიდან მოიპოვებს.

კომპანია ფინანსურ აქტივს დეფოლტირებულად მიიჩნევს, თუ სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით არის ვადაგადაცილებული. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ფინანსური აქტივი დეფოლტის მდგომარეობაში მყოფად შეიძლება ჩაითვალოს, თუ შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ სავარაუდოა, კომპანიამ დარჩენილი სახელშეკრულებო თანხა სრულად მიიღოს მის ხელთ არსებული საკრედიტო რისკების შემამცირებელი საშუალებების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებელი აქტივები გაუფასურების დანაკარგების რეზერვიდან ჩამოიწერება აქტივის აღდგენის ყველა პროცედურის დასრულებისა და დანაკარგის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენის შემთხვევაში, ის აღირიცხება გაუფასურების ზარალის ანგარიშში წლის მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიამ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა პირს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული და მიღებული და მისაღები ანაზღაურების ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გარდა ამისა, სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტში განხორციელებული ინვესტიციის აღიარების გაუქმებისას, ინვესტიციების გადაფასების რეზერვში მანამდე დაგროვილი ჯამური მოგება ან ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

ფინანსური ვალდებულებები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები შემდგომში აისახება მოგება - ზარალში რეალური ღირებულებით ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზებული ღირებულებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ისინი აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღებული სესხები

აღებული სესხები თავდაპირველად აისახება ნამდვილი (სამართლიანი) ღირებულებით, გაწეული ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. სამართლიანი ღირებულება დგინდება მსგავს ინსტრუმენტზე მოქმედი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საწყისი აღიარების შემდეგ სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური უკუგების მეთოდის გამოყენებით, ხოლო სხვაობა თავდაპირველად აღიარებულ თანხასა და მოგებაში ან ზარალში აღიარებულ თანხას შორის აღირიცხება როგორც საპროცენტო ხარჯი სესხის მოქმედების ვადის განმავლობაში.

აღებული სესხები მიმდინარე ვალდებულებებად აღირიცხება, თუ კომპანიას არ აქვს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვა გადადოს საანგარიშგებო დღიდან სულ მცირე 12 თვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აისახება კონტრაგენტის მიერ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას. სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში კი ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში..

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება როგორც

კაპიტალი. ნამატი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ახალი აქციების გამოშვებას, კაპიტალში ნაჩვენებია, როგორც შემოსავლიდან გამოქვითვა გადასახადების გარეშე. მიღებული ანაზღაურებისა და გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების სხვაობა კაპიტალში აღირიცხება როგორც სამისიო კაპიტალი.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში

შენიშვნაში #3 ჩამოთვლილი სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, მენეჯმენტს ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებში გამოყენებული კრიტიკული განსჯა

ქვემოთ ჩამოთვლილია ის კრიტიკული შეფასებები, პროგნოზების მომცველი შეფასებების გარდა (იხილეთ ქვემოთ), რომლებიც კომპანიის მენეჯმენტმა გააკეთა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში და რომელთაც ყველაზე დიდი ეფექტი ჰქონდა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების საწყისი აღიარება. ბიზნესის მიმდინარეობისას ჯგუფი ტრანზაქციებს ახორციელებს მეკავშირე მხარეებთან. ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს რეალური (სამართლიანი) ღირებულებით. იმის დასადგენად, სრულდება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არასაბაზრო განაკვეთით, თუ აქტიური ბაზარი არ არსებობს, გამოიყენება მენეჯმენტის შეფასება. შეფასება ხდება არა-დაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტრანზაქციის ფასებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზით.

შეფასებათა განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ განხილულია ის ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით და შეფასების განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები, რომლებიც, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, პოტენციურად ქმნის მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითად კორექტირების აუცილებლობის მნიშვნელოვან რისკს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა. ძირითადი საშუალების ერთეულის სასარგებლო მოხმარების ვადა დგინდება მენეჯმენტის შეფასებით და ეფუძნება მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას. აქტივებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელის ათვისება ხდება მოხმარებით. თუმცა, სხვა ფაქტორები, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ფიზიკური ცვეთა ხშირად იწვევს ამ ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

მენეჯმენტი დარწმუნდეს სასარგებლო მოხმარების ვადას აფასებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობითა და იმ მოსალოდნელი პერიოდით, რომლის განმავლობაში მენეჯმენტი ვარაუდობს სარგებლის მიღებას. მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: (ა) აქტივების მოხმარების სავარაუდო ფორმა; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, საოპერაციო ფაქტორებისა და ტექნიკური მომსახურების პროგრამის გათვალისწინებით; და (გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება ბაზრის მდგომარეობის ცვლილებიდან გამომდინარე.

საგადასახადო კანონმდებლობა და რეზერვების აღრიცხვა. როგორც #20 შენიშვნაშია განხილული, საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა საქართველოში დიდწილად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. კომპანიის ხელმძღვანელობა ასეთ დაუზუსტებელ საგადასახადო პოზიციებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს აფასებს. აღირიცხება ვალდებულებები მოგების გადასახადის არსებული მიდგომებით, რომლებიც, მენეჯმენტის აზრით, საგადასახადო ორგანოების მხრიდან შედავების შემთხვევაში ნაკლებად გახდება გასაუქმებელი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისათვის არსებითად ან მთლიანად ამოქმედებული საგადასახადო ნორმების ინტერპრეტაციის საფუძველზე. ჯარიმების, პროცენტისა და სხვა გადასახადების ვალდებულებები აღიარდება მენეჯმენტის პროგნოზის საფუძველზე, თუ რა ხარჯი იქნება საჭირო საანგარიშგებო დღეს ვალდებულების დასაფარად. პროგნოზი რეალური შედეგებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

სს ლომისი

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

მოძრაობა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში იყო შემდეგი:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპ. საშუალებებ.	ავიჯი და აქსესუარები	სხვა მატერიალ. აქტივები	მიმდინარე შენებლობები და დაუმონტაჟებელი ტექნიკა	სულ
ღირებულება							
2020 წ. 1 იანვარი	20,044	111,152	4,701	1,355	78,556	538	216,346
დამატება	11	2,326	11	173	3,613	1,119	7,253
რეალიზაცია	-	(7)	(274)	(19)	(927)	-	(1,227)
გადატანა	46	116	-	1	861	(1,024)	-
2020 წ. 31 დეკემბერი	20,101	113,587	4,438	1,510	82,103	633	222,372
დამატება	175	2,113	322	296	7,380	3,284	13,570
რეალიზაცია	-	(87)	(343)	(1)	(3,925)	-	(4,356)
გადატანა	-	2,187	-	-	-	(2,187)	-
2021 წ. 31 დეკემბერი	20,276	117,800	4,417	1,805	85,558	1,730	231,586
დაგროვილი ცვეთა							
2020 წ. 1 იანვარი	5,918	88,824	3,059	1,088	67,934	-	166,823
ცვეთის ხარჯი	651	6,684	479	107	4,892	-	12,813
რეალიზაცია	-	(6)	(274)	(11)	(919)	-	(1,210)
2020 წ. 31 დეკემბერი	6,569	95,502	3,264	1,184	71,907	-	178,426
ცვეთის ხარჯი	654	6,641	427	131	4,773	-	12,626
რეალიზაცია	-	(86)	(305)	(1)	(3,925)	-	(4,317)
2021 წლის 31 დეკემბერი	7,223	102,057	3,386	1,314	72,755	-	186,735
საბალანსო ღირებულება							
2020 წ. 1 იანვარს	14,126	22,328	1,642	267	10,622	538	49,523
2020 წ. 31 დეკემბრის	13,532	18,085	1,174	326	10,196	633	43,946
2021 წ. 31 დეკემბრის	13,053	15,743	1,031	491	12,803	1,730	44,851

მიმდინარე შენებლობები და დაუმონტაჟებელი ტექნიკა დაკავშირებულია საწარმოო ინფრასტრუქტურის გაფართოებასთან. 2021 წლის 31 დეკემბრისათვის, ეს მოიცავს შემდეგ პროექტებს: ჩამომსხმელი ხაზი, ახალი ბოილერი, ბოთლის ყალიბები, საკასრე ხაზი, საინჟინრო სამუშაოები, რაც ერთად ბალანსის 76% შეადგენს.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 103,234 ათას ლარსა და 88,972 ათას ლარს, შესაბამისად.

სს ლომისი

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

6. მარაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნედლეული	7,289	7,779
დაუმთავრებელი წარმოება	1,381	1,060
მზა პროდუქცია	2,674	2,243
სათადარიგო და სხვა მასალები	5,233	4,475
მოძველებული მარაგების ანარიცხები	(2,192)	(2,192)
სულ მარაგები	14,385	13,365

მოძრაობა მარაგების ანარიცხებში:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	(2,192)	(2,233)
დამატება წლის განმავლობაში	-	(600)
წინა წლის ანარიცხების აღდგება	-	641
ნაშთი წლის ბოლოს	(2,192)	(2,192)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები (ადგილობრივი)	15,249	10,172
სავაჭრო მოთხოვნები (ექსპორტი)	311	24
სხვა	793	700
დანაკარგების ანარიცხები	(279)	-
სულ ფინანსური სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,074	10,896
არაფინანსური აქტივები		
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	1,407	481
წინასწარ დაფარული ხარჯები	675	1,795
სულ არაფინანსური სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,082	2,276
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,156	13,172

შემდეგ ცხრილში, კომპანიის გაუფასურების მოდელის საფუძველზე მოცემულია სავაჭრო მოთხოვნების რისკის პროფილი. ვინაიდან კომპანიის წარსული საკრედიტო ზარალის ისტორია არ უჩვენებს კლიენტების სხვადასხვა სეგმენტისათვის მნიშვნელოვნად განსხვავებულ ზარალის სურათს, ზარალის ანარიცხების რეზერვირება ვადაგადაცილების სტატუსის საფუძველზე სხვადასხვა სეგმენტს შორის განსხვავებული არაა.

სს ლომისი

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

31 დეკემბერი 2021	ვადაგადაუცილებელი	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	1.7%	
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	16,353	16,353
მსზ არსებობის მანძილზე	(279)	(279)
		16,074

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია მსზ-ის მოძრაობა, რომელიც აღიარებული სავაჭრო მოთხოვნებზე იქნა ფასს 9 სტანდარტის გამარტივებული მიდგომის შესაბამისად.

	2021	2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დანაკარგების ანარიცხები 1 იანვარს	-	-
ცვლილება დანაკარგების ანარიცხებში დაფარვის გამო აღიარებაშეწყვეტილის გამოკლებით ახალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაჩენის გამო	(279)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დანაკარგების ანარიცხები 31 დეკემბერს	(279)	-

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული საღაროში	1	4
ნაღდი ფული ბანკებში	16,630	10,584
მოთხოვნამდე დეპოზიტები	5,421	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	22,052	10,588

კომპანიას 2021 წლის ბოლოსათვის სს „თიბისი ბანკში“ განთავსებული აქვს მოთხოვნამდე დეპოზიტი 1,750 ათას აშშ დოლარის ოდენობით. მას ერიცხება ცვლადი საპროცენტო განაკვეთი: წლიური 1.5% 1,750 ათას აშშ დოლარზე (ჩათვლით), წლიური 0% 1,750 ათას აშშ დოლარზე მეტი ნაშთისთვის. დეპოზიტის ხელშეკრულება გაფორმდა 2021 წლის 29 სექტემბერს.

9. სააქციო კაპიტალი

ნებადართული სააქციო კაპიტალი შეადგენდა 20 000 ჩვეულებრივ აქციას (31 დეკემბერი 2020 წ.: 20 000 აქცია), ნომინალური ღირებულებით თითო აქციაზე 1 ლარი (31 დეკემბერი 2020 წ.: 1 ლარი აქცია). ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია იყო სრულად გადახდილი. თითოეული ჩვეულებრივი აქცია ატარებს ერთი ხმის უფლებას.

საემისიო კაპიტალი წარმოადგენს შენატანებისა და გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების სხვაობას.

სს ლომისი

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

10. აღებული სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი 2020	ვადადნობა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სესხები					
უზრუნველყოფის გარეშე					
სესხი Efes Breweries International N.V.-გან	USD	4%+ 3 m Libor	31/12/2023	59,362	84,446
სულ სესხები				59,362	84,446
სესხების გრძელვადიანი ნაწილი				59,113	84,213
სესხების მოკლევადიანი ნაწილი				249	233

ფინანსური საქმიანობით წარმოშობილი ვალდებულებების შედარება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ვალდებულებების ცვლილებები, რომლებიც წარმოშობილია ფინანსური საქმიანობიდან, მათ შორის ფულადი და არაფულადი ცვლილებები. ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები არის ის ვალდებულებები, რომელთა ფულადი ნაკადები ჯგუფის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში კლასიფიცირებული იყო ან იქნება როგორც ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან.

	1 იანვარი 2021	საფინანსო ფულადი ნაკადები (i)	ცვლილებები სესხის პირობებში	სხვა ცვლილებები (ii)	საკურსო სხვაობით გამოწვეული (მოგება)/ზარალი	31 დეკემბერი 2021
აღებული სესხები	84,446	(20,731)	-	(330)	(4,023)	59,362
	84,446	(20,731)	-	(330)	(4,023)	59,362
	1 იანვარი 2020	საფინანსო ფულადი ნაკადები (i)	ცვლილება სესხის პირობებში	სხვა ცვლილებები (ii)	არაფულადი ცვლილება საკურსო მოგება	31 დეკემბერი 2020 (კორექტირებული)
აღებული სესხები	97,004	(25,144)	626	(545)	12,505	84,446
	97,004	(25,144)	626	(545)	12,505	84,446

- (i) მეკავშირე პირებისგან აღებული სესხებიდან ფულადი ნაკადები შეადგენს აღებული სესხების დაფარვის თანხას როგორც ეს მითითებულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.
(ii) სხვა ცვლილებები მოიცავს დარიცხულ და გადახდილ პროცენტს.

სს ლომისი

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	23,938	13,093
თანამშრომელთათვის გადასახდელი თანხები	371	391
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,019	634
სულ ფინანსური სავაჭრო და სხვა გადასახდელი	25,328	14,118
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	225	1,129
სულ არაფინანსური სავაჭრო და სხვა გადასახდელი	225	1,129
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,553	15,247

მიღებული ავანსები მოიცავს ადგილობრივი და ექსპორტიორი დილერებისგან მიღებულ თანხებს. 2020 და 2019 წლების დეკემბრის მდგომარეობით მიღებული 1,129 ათასი და 313 ათასი ლარიანი ნაშთებიდან პირმა 2021 და 2020 წლების საანგარიშგებო პერიოდებში მოახდინა 993 ათასი და 275 ათასიანი შემოსავლის რეალიზება, შესაბამისად.

12. შემოსავალი

	2021	2020
შემოსავალი ექსპორტიდან	88,142	55,980
ადგილობრივი შემოსავალი	79,884	70,425
სულ შემოსავალი	168,026	126,405

13. რეალიზებული პროდუქციის ღირებულება

	2021	2020
მოხმარებული ნედლეული და სახარჯი მასალები	79,061	53,304
ხელფასები და გასამრჯელოები	5,193	5,045
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	7,016	7,086
საწარმოო ზედნადები ხარჯები	8,498	6,603
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	99,768	72,038

14. გაყიდვისა და მარკეტინგული ხარჯები

	2021	2020
ხელფასები და გასამრჯელოები	6,734	6,440
რეკლამისა და მარკეტინგული ხარჯები	5,897	4,132
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	5,406	5,098
შტატგარეშე ბიზნეს-სერვისების ხარჯი	1,188	876
ავტოსატრანსპორტო ხარჯები	731	1,011
დაზიანებები და ზარალი	694	556
სხვა გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	1,021	611
სულ გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	21,671	18,724

სს ლომისი

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
ხელფასის ხარჯი	6,144	6,120
მართვის საფასური	3,602	3,079
შტატგარეშე ბიზნეს სერვისები	762	592
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	555	924
დაზიანებები და ზარალი	553	612
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	515	370
ავტოსატრანსპორტო ხარჯები	224	119
ჩატვირთვის მომსახურების ხარჯები	201	151
ისტ ხარჯები	171	130
პროფესიული მომსახურება	149	175
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	61	70
სადაზღვევო ხარჯები	7	15
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,545	640
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები სულ	14,489	12,997

16. ფინანსური შემოსავალი

	2021	2020
საპროცენტო შემოსავალი	687	857
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება, წმინდა	3,394	-
სულ ფინანსური შემოსავალი	4,081	857

17. ფინანსური ხარჯები

	2021	2020
საპროცენტო ხარჯი	2,905	4,038
სესხების მოდიფიკაციით მიღებული ზარალი	-	626
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა	-	12,298
საბანკო ხარჯები	261	222
სულ ფინანსური ხარჯები	3,166	17,184

18. ფინანსური ინსტრუმენტები

რეალური (სამართლიანი) ღირებულების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით ხორციელდება: (1) პირველი დონის მონაცემები არის აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის კოტირებული (არაკოტირებული) ფასები. (2) მეორე დონეზეა შეფასების ტექნიკა აქტივებზე ან ვალდებულებებზე დაკვირვებითი (პირდაპირ - მაგალითად, ფასები, ან ირიბად - ანუ ფასებიდან მიღებული) მონაცემების გამოყენებით, ხოლო (3) მესამე დონეზეა ისეთი შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მენეჯმენტის შეფასების საგანია. თუ სამართლიანი ღირებულების აღსარიცხად გამოიყენება ისეთი დაკვირვებადი მონაცემები, რომელთაც მნიშვნელოვანი კორექტირება ესაჭიროება, მაშინ ეს მესამე დონის გაზომვაა. შესაფასებელი ერთეულის/მეთოდის მნიშვნელობა ფასდება მთლიანი სამართლიან ღირებულების შეფასებაში მისი მონაწილეობის მიხედვით.

სს ლომისი

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

ის აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ აღირიცხება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება განმარტებულია. იერარქიაში დონის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულებები და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ აისახება, შემდეგია:

	31 დეკემბერი 2021			საბალანსო ღირებულება
	დონე 1	დონე 2	დონე 3	
აქტივები				
- ფული და ფულის ეკვივალენტები	22,052	-	-	22,052
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	16,074	16,074
სულ აქტივები	22,052	-	16,074	38,126
ვალდებულებები				
აღებული სესხები	-	59,362	-	59,362
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	-	-	25,328	25,328
საიჯარო ვალდებულება	-	-	869	869
სულ ვალდებულებები	-	59,362	26,197	85,559
	31 დეკემბერი 2020			საბალანსო ღირებულება
	დონე 1	დონე 2	დონე 3	
აქტივები				
- ფული და ფულის ეკვივალენტები	10,588	-	-	10,588
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	10,896	10,896
სულ აქტივები	10,588	-	10,896	21,484
ვალდებულებები				
აღებული სესხები	-	84,446	-	84,446
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	-	-	14,118	14,118
საიჯარო ვალდებულება	-	-	645	645
სულ ვალდებულებები	-	84,446	14,763	99,209

მეორე და მესამე დონის სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკით, რომლისთვისაც გამოყენებული იქნა შესაძარისი საბაზრო ფასები. აქტიურ ბაზარზე არაკვალიფიციური მცურავგანაკვეთიანი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების შეფასებული ნამდვილი (სამართლიანი) ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელ, სამომავლო ფულადი ნაკადებს, რომელიც დისკონტირდება ახალი, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის მატარებელი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანობის გამო, სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ვადიანი ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება გამოთვლილ იქნა მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებებთანაა მიახლოებული.

სს ლომისი

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება) 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის (ათასობით ქართულ ლარში)

ფულისა და ფულის ეკვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის მონაცემებით, აღებული სესხების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მეორე დონის მონაცემებით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა - მესამე დონის მონაცემებით.

კაპიტალის რისკის მართვა □ კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მან შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, აქციონერთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად მიმოიხილავს. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, კომპანია აბალანსებს კაპიტალის ზოგად სტრუქტურას დივიდენდების გადახდით, ახალი აქციების გამოშვებით, ახალი სესხების აღებით თუ ძველი სესხების დაბრუნებით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სესხებისა და კაპიტალის ფარდობა ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	(22,052)	(10,588)
აღებული სესხები	59,362	84,446
წმინდა აღებული სესხები	37,310	73,858
სულ კაპიტალი	16,372	(16,696)
წმინდა სესხის ფარდობა კაპიტალთან	2.28	(4.42)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი სახეები □ კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა ფული და ფულის ეკვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,074	10,896
ფული და ფულის ეკვივალენტები	22,052	10,588
სულ ფინანსური აქტივები	38,126	21,484

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	25,328	14,118
საიჯარო ვალდებულება	869	645
აღებული სესხები	59,362	84,446
სულ ფინანსური ვალდებულებები	85,559	99,209

კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

გეოგრაფიული რისკი. კომპანიის აქტივები განთავსებულია საქართველოში და მისი ბიზნეს-გეგმები სასიცოცხლოდ და მოკიდებული ქვეყნის სტაბილურობასა და მართლწესრიგზე. საქართველო კვლავაც უჩვენებს განვითარებადი ბაზრის ზოგიერთ მახასიათებლებს. მაგალითად, კომპანიაზე მოქმედებს ქვეყნის შიგნით ბიზნეს და სამართლებრივი გარემოს ნებისმიერი გაუარესება.

სავალუტო რისკი □ სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც კომპანია სარგებლობს.

სს ლომისი

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

კომპანია ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებული ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შემდეგია:

	31 დეკემბერი 2021	
	USD 1 = 3.0976 GEL	EUR 1 = 3.5040 GEL
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	179
ფული და ფულის ეკვივალენტები	10,729	9,356
სულ ფინანსური აქტივები	10,729	9,535
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,010	6,658
საიჯარო ვალდებულებები	-	869
აღებული სესხები	59,362	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	66,372	7,527
სულ წმინდა პოზიცია	(55,643)	2,008

	31 დეკემბერი 2020	
	USD 1 = 2.8677 GEL	EUR 1 = 3.2095 GEL
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,980	5,051
სულ ფინანსური აქტივები	5,004	5,051
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	806	6,779
საიჯარო ვალდებულებები	-	645
აღებული სესხები	84,446	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	85,252	7,424
სულ წმინდა პოზიცია	(80,248)	(2,373)

სს ლომისი

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს საანგარიშგებო დღეს უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად კომპონენტებს.

	31 დეკემბრის 2021	31 დეკემბრის 2020
	ეფექტი სრულ შემოსავალზე	ეფექტი სრულ შემოსავალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(11,129)	(16,050)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	11,129	16,050

	31 დეკემბრის 2021	31 დეკემბრის 2020
	ეფექტი სრულ შემოსავალზე	ეფექტი სრულ შემოსავალზე
ევროს გამყარება 20%-ით	402	(475)
ევროს ვარდნა 20%-ით	(402)	475

საპროცენტო განაკვეთის რისკი □ ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით LIBOR-ის 100 საბაზისო პუნქტით ზრდა/შემცირების მიმართ. ანალიზში მოხვდა ის აღებული სესხები, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისათვის დენომინირებული იყო შესაბამის ვალუტებში.

კომპანიაზე შეზღუდული საპროცენტო განაკვეთის რისკი ნაკლებად ვრცელდება, რადგან იგი სახსრებს სესხულობდა მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთებით.

ქვემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზები გაკეთდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების ზემოქმედების მიხედვით. მცურავგანაკვეთიანი ვალდებულებებისთვის ანალიზი ჩატარდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულების ოდენობა ასეთივე იყო მთელი წლის განმავლობაში. 100 საბაზო პუნქტიანი (1%) ზრდა ან კლება გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკის მენეჯმენტის ანგარიშში ასახსნელად და წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას.

საპროცენტო განაკვეთები რომ ყოფილიყო 100 პუნქტით მაღალი/დაბალი, ხოლო ყველა სხვა ცვლადი - მუდმივი, კომპანიის:

	31 დეკემბრის 2021	31 დეკემბრის 2020
	ეფექტი სრულ შემოსავალზე	ეფექტი სრულ შემოსავალზე
Libor განაკვეთის ზრდა 100 საბაზო პუნქტით	594	844
Libor განაკვეთის კლება 100 საბაზო პუნქტით	(594)	(844)

- 2021 წლის მოგება შემცირდებოდა/გაიზრდებოდა 594 ათასი ლარით (2020: კლება/ზრდა 844 ათასი ლარით.) ეს ძირითადად გამოწვეულია კომპანიაზე მცურავგანაკვეთიანი სესხების საპროცენტო განაკვეთების ზემოქმედებით;
- კომპანიის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთების მიმართ მიმდინარე წლის განმავლობაში შემცირდა მცურავგანაკვეთიანი სასესხო ინსტრუმენტების შემცირების გამო.

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთების ზემოქმედება კომპანიაზე აღწერილია წინამდებარე შენიშვნის ლიკვიდობის რისკის მართვის ნაწილში.

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძნობელობა არაწრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება.

საკრედიტო რისკი □ საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელი აღმოჩნდება გადახდისუუნარო მდგომარეობაში ან დროულად ვერ დაფარავს კომპანიის მიმართ არსებულ დავალიანებას, რაც კომპანიის ფინანსურ დანაკარგს გამოიწვევს. კომპანიის საკრედიტო რისკი გამოწვეულია მისი საოპერაციო საქმიანობით (ძირითადად, სავაჭრო მოთხოვნებით) და ფინანსური საქმიანობით, მათ შორის, ბანკებსა და დაკავშირებულ მხარეებთან განთავსებული ანგარიშებით, ვალუტის გაცვლის ტრანზაქციებითა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტებით.

საკრედიტო რისკი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე შეზღუდულია, რადგან კონტრაგენტები მოიცავს დადებითი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად კომპანია იყენებს სტანდარტით ფასს 9 გათვალისწინებულ გამარტივებულ მიდგომას, რომელშიც გამოიყენება ყველა სავაჭრო მოთხოვნის დანაკარგების ანარიცხები. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვირების მატრიცა, რომელიც ეფუძნება საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას, ფორვარდული, დებიტორებისეული ფაქტორებისა და ეკონომიკური გარემოებების გათვალისწინებით. გაუფასურების მოდელთან ერთად კომპანია აგრეთვე იყენებს დებიტორების შესახებ გარე წყაროებიდან მიღებულ საკრედიტო რეიტინგებს.

ლიკვიდობის რისკი □ ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების შესრულებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია კომპანიის არაწარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც კომპანიას შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ცხრილში ნაჩვენებია როგორც ძირითადი თანხის, აგრეთვე პროცენტის ფულადი ნაკადები. საკონტრაქტო ვადები ეფუძნება იმ უახლოეს ვადებს, როდესაც კომპანიას შეიძლება გადახდა მოეთხოვოს.

ვალდებულებები

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე-1 წელი	1-5 წელი	5+ წელი	სულ
31 დეკემბერი 2021						
უპროცენტო	14,098	6,191	5,039	-	-	25,328
საიჯარო ვალდებულება	-	-	365	504	-	869
პროცენტო	-	620	1,895	61,370	-	63,885
	14,098	6,811	7,299	61,874	-	90,082

ვალდებულებები

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე-1 წელი	1-5 წელი	5+ წელი	სულ
31 დეკემბერი 2020						
უპროცენტო	3,680	4,036	6,402	-	-	14,118
საიჯარო ვალდებულება	-	-	123	522	-	645
პროცენტო	-	-	2,939	87,068	-	90,007
	3,680	4,036	9,464	87,590	-	104,770

სს ლომისი

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

ცვლადგანაკვეთიან არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში ზემოთ ნაჩვენები თანხები შეიძლება შეიცვალოს, თუ ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დადგენილი საპროცენტო განაკვეთის პროგნოზს არ შეესაბამება.

19. ტრანზაქციები მეკავშირე მხარეებთან

მეკავშირე მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს, პარტნიორებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

მეკავშირე მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. მეკავშირე მხარეებს შორის ტრანზაქციები შეიძლება ხორციელდებოდეს სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

მეკავშირე მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. მეკავშირე მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის			
დამფუძნებელი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ		სხვა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	14	14
აღებული სესხები	59,362	-	59,362
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	389	389
სავაჭრო საქონლის შესყიდვა	3,452	2,701	6,153
ტექნიკური მართვის ანაზღაურება	1,229	-	1,229

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის			
დამფუძნებელი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ		სულ
აღებული სესხები	84,446	-	84,446
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1	192	193
სავაჭრო საქონლის შესყიდვა	1,276	2,069	3,345
ტექნიკური მართვის ანაზღაურება	995	-	995

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება, რომელიც წარმოდგენილია მოკლევადიანი ბენეფიტებით, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2,703 ათას და 3,299 ათას ლარს, შესაბამისად.

20. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები – 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნდა დასაფარი მატერიალური სიდიდის პირობითი ვალდებულება.

სამართლებრივი დავები. ბიზნეს საქმიანობის პროცესში შესაძლოა წარმოიშვას დავები/მოთხოვნები კომპანიის წინააღმდეგ. მათივე შეფასებით, ასევე შიდა და გარე კონსულტანტების მოსაზრების გათვალისწინებით, კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამგვარ სამართლებრივ მოთხოვნებთან დაკავშირებით არაა მოსალოდნელი მატერიალური დანაკარგი, გარდა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილისა.

დაბეგვრა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა იძლევა მრავალგვარი განმარტებებისა და ცვლილებების საფუძველს. ამასთან, ვინაიდან საგადასახადო კანონმდებლობის ჯგუფის მმართველობისეული განმარტება შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო უწყებების განმარტებებისაგან, უწყებებმა შესაძლოა სადაოდ გახადონ ტრანზაქციები, რის შედეგადაც კომპანიას შესაძლოა დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო წელი 3 წლის განმავლობაში ღიაა საგადასახადო უწყებების მხრიდან შემოწმებისათვის.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კანონმდებლობა სატრანსფერო ფასწარმოქმნის შესახებ 2014 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა. კანონში შევიდა დამატებითი საანგარიშგებო და დოკუმენტაციის განმსაზღვრელი მოთხოვნები. ახალი კანონის მიხედვით საგადასახადო უწყებებს უფლება აქვთ, მეწარმეს დააკისრონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები გარკვეული ტრანზაქციების ფარგლებში, რომლებიც ასევე მოიცავს გარიგებებს მეკავშირე მხარეებთან, თუ საგადასახადო ორგანომ ჩათვალა, რომ ტრანზაქციის ფასი კომერციულ საფუძველზე არ არის განსაზღვრული. საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის სატრანსფერო ფასწარმოქმნი ოპერაციების ექვექმ დაყენების შესაძლო შედეგის სარწმუნოდ განსაზღვრა შეუძლებელია.

ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს გარიგებათა საბაზრო ფასის დადგენისას. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ყველა საგადასახადო თანხა უკვე დარიცხულია და ამდენად ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი გათვალისწინებული არ არის.

საოპერაციო გარემო – ისეთი განვითარებადი ბაზრები, როგორიც საქართველოშია, განვითარებულ ბაზრებთან შედარებით უფრო მეტ რისკ ფაქტორებს შეიცავს; აქ იგულისხმება ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, სამართლებრივი და საკანონმდებლო საფრთხეები. სწრაფი ტემპებით ხდება საწარმო საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულაციების ჩამოყალიბება, რომლებიც ხშირად სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საგანი ხდება. სამართლებრივ, სარეგულაციო და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2021 და 2020 წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

გარდა ამისა, 2020 წლის დასაწყისიდან გავრცელდა ახალი კორონავირუსული დაავადება (COVID-19), რომელიც სწრაფად მოედო მთელს მსოფლიოს და შედეგად, 2021 წლის მარტში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადდა ეპიდემიური მდგომარეობა. COVID-19 ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად მსოფლიოს ქვეყნებმა მიიღეს შემაკავებელი ზომები, რამაც ბევრი კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა გამოიწვია და მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. სიტუაცია სწრაფად იცვლება და მას შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს არაერთი დარგის კომპანიებზე, მათ შორის და არა მხოლოდ, საქმიანობის შეწყვეტა, რაც გამოწვეული იქნება წარმოების შეწყვეტით ან საწარმოო ქარხნების დაკეტვით, მიწოდების შეწყვეტით, თანამშრომლების კარანტინით, შემცირებული მოთხოვნითა და ფინანსების მოზიდვის გართულებით. გარდა ამისა, კომპანიამ კოვიდ-19-ის სულ უფრო მზარდი ეფექტი შეიძლება იგრძნოს გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ საფინანსო ბაზრებზე უარყოფითი ზეგავლენის გამო. კომპანიის ბიზნესზე კოვიდ-19-ის ეფექტი დიდწილად დამოკიდებულია მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიის ეფექტების ხანგრძლივობასა და გავრცელებაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ ამ ეტაპზე ვერ შეძლო იმის პროგნოზირება, თუ რა ეფექტი ექნება განვითარებულ მოვლენებს საქართველოს ეკონომიკაზე და თუ რა ზეგავლენა მოსალოდნელი კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მის მიერ ხდება ყველა საჭირო ზომის მიღება კომპანიის მდგრადობისა და განვითარების შესანარჩუნებლად.

21. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

2022 წლის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის აღიარების ბრძანებებს. 2022 წლის 24 თებერვალს გამოცხადდა გადაწყვეტილება უკრაინაში სპეციალური ოპერაციის განხორციელების შესახებ. აღნიშნულის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა, გაერთიანებულმა სამეფომ, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა გამოაცხადეს, რომ სანქციებში მოექცევიან რუსეთის გარკვეული თანამდებობის პირები, ბიზნესმენები და კომპანიები. ამ მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს რუსული ბიზნესისათვის საერთაშორისო კაპიტალსა და საექსპორტო ბაზრებზე ნაკლები წვდომა, რუსული რუბლის გაუფასურება, კაპიტალის ბაზრების შემცირება და მოიტანოს სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები. რუსეთმა, უკრაინაში შეჭრის გამო დაწესებულ დასავლურ სანქციებს უპასუხა 2022 წლის ბოლომდე პროდუქტების გარკვეულ რაოდენობაზე ექსპორტის აკრძალვით.

საქართველოს ეკონომიკის ორი მსხვილი სექტორი, კერძოდ, მეღვინეობა და ტურიზმი, მკვეთრად დაზარალებული რუსეთის ბაზარზე. 2021 წელს ქართული ღვინის ექსპორტის 55% რუსეთზე მოდიოდა და შეადგინა სულ 130 მილიონი აშშ დოლარი, მეორე ადგილზე ექსპორტის მხრივ კი იყო უკრაინა 25 მილიონი აშშ დოლარით. ტურიზმის თვალსაზრისითაც მოგზაურების დიდი ნაწილი რუსეთსა და უკრაინაზე მოდის.

გარდა ზემოაღნიშნული ფაქტისა, ხელმძღვანელობა არ ელის, რომ რუსეთ-უკრაინის ომი კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაზე რაიმე დიდ ზეგავლენას იქონიებს გარდა იმისა, რომ ნედლეულის მოწოდება უკრაინიდან და რუსეთიდან შეზღუდული იქნება. მიუხედავად ამისა, მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება მოვლენებს, რათა კრიზისის გაფართოების შემთხვევაში, შეძლოს ახალი სამოქმედო გეგმების შემუშავება და ამოქმედება.

აღნიშნული და მომავალი მოვლენების ზეგავლენა კომპანიის მომავალ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ამ ეტაპზე რთული განსასაზღვრია.

მმართველობის ანგარიში

ზოგადი ინფორმაცია

კომპანია 1997 წლის 16 მაისს დაფუძნდა და ფუნქციონირებს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას შეზღუდული აქციებით.

2020 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო დამფუძნებელს წარმოადგენდა „Efes Breweries International N.V.“, კომპანიის ძირითადი მაკონტროლებელი მხარეა „Anadolu Efes Group“.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ლუდისა და გაზიანი უალკოჰოლო სასმელების წარმოება და საბითუმო გაყიდვა საქართველოსა და საზღვარგარეთ. კომპანიის საწარმოო ინფრასტრუქტურა განთავსებულია საქართველოში, სოფელ ნატახტარში.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი, საქართველო.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 333 და 394 თანამშრომელს, შესაბამისად.

კომპანია აწარმოებს ლუდის რვა და ტრადიციული ლიმონათის ერთ სახეობას ბრენდული დასახელებით „ნატახტარი“. კომპანიას გაყიდვებით მოცული აქვს ადგილობრივი ბაზარი და აგრეთვე ექსპორტზე გააქვს პროდუქტი 22 ქვეყანაში. სადისტრიბუციო მომსახურებას ადგილობრივად და უცხოურ ქვეყნებში მას მესამე მხარეები - სადილერო კომპანიები უწევენ.

კორპორატიული მართვა

სს ლომისი დეცენტრალიზებული ორგანიზაციაა და მას ადგილობრივად დანიშნული დირექტორთა ჯგუფი მართავს. ყოველდღიურ ოპერაციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება ადგილობრივად, თუმცა სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს განიხილავს Efes Breweries International N.V.- სათავე ოფისში მოქმედი დირექტორთა საბჭო, რომელიც შედგება ჯგუფის გენერალური დირექტორისგან, ფინანსური დირექტორისგან და სხვა უმაღლესი ხელმძღვანელი პირებისგან.

ქვემოთ მოცემულია სს ლომისის ორგანიზაციული სტრუქტურა:



ხელმძღვანელობას მტკიცედ სჯერა, რომ კომპანიის მიზნებისა და თანამშრომელთა მიერ სამუშაოს შესრულების გაწონასწორება წარმატების საწინდარია. ამდენად, კომპანიამ შეიმუშავა და ახორციელებს შედეგიანობის მართვის სისტემას, რომელიც განსაზღვრავს სამიზნე მაჩვენებლებს კომპანიის ზოგადი მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე და ანაწილებს მაჩვენებლებს დეპარტამენტებისა და შესაბამისი თანამშრომლების დონეებზე.

ბაზრის მიმოხილვა

ლუდის ინდუსტრია საქართველოში ძლიერ კონკურენტული ბაზრითაა წარმოდგენილი, 4 ადგილობრივი კომპანიის წარმატება აჭარბებს ბაზრის რეალურ მოთხოვნას.

ლუდს ერიცხება სააქციო გადასახადი, რომელიც ცვლიდა და თითო გრადუს ალკოჰოლზე 0.12 ლარს შეადგენს. გაზირებული უალკოჰოლო სასმელების ბაზარი ბევრად უფრო მრავალფეროვანია წარმოდგენილი ბრენდების თვალსაზრისით, ასევე არსებობს შემცველებიც, როგორც კოლა, ენერგეტიკული სასმელები და წვენები. ამის გამო კომპანია ითვალისწინებს ბაზრის ტენდენციებს ცალ-ცალკე ორივე სეგმენტში, ლიმონათებშიც და გაზირებულ უალკოჰოლო სასმელებშიც.

ხელმძღვანელობა ფასებს განსაზღვრავს ბაზარზე შექმნილი ვითარების, ბრენდის პოზიციონირების სტრატეგიისა და კონკურენტების ანალიზის საფუძველზე. ფასდათმობებსა და სავაჭრო აქციებს კომპანიის გაყიდვების მოცულობაზე დიდი ზეგავლენა აქვს და წარმოადგენს ბაზარზე პოზიციების შენარჩუნებისა და გაძლიერების მნიშვნელოვან მექანიზმებს.

ნედლეულისა და შესაფუთი მასალები იმპორტირებულია საზღვარგარეთიდან, ძირითადი მომწოდებლებია თურქეთიდან და სხვა მეზობელი ქვეყნებიდან.

კოვიდ-19-ის პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე, მათ შორის, ლუდისა და გაზიანი სასმელების ბაზარზე. ეს გამოწვეული იყო პანდემიის დროს მოქმედი შეზღუდვებით, მაგალითად ლოკდაუნებით, რაც სტუმარმასპინძლობის პუნქტების დახურვას მოითხოვდა. შედეგად, საქართველოში ლუდის მოხმარება მცირედით შემცირდა. თუმცა, კომპანიის მიერ განხორციელებული კომპლექსური სტრატეგიის დახმარებით, საბაზისო ფინანსური ანგარიშები წინა წელთან შედარებით ზრდით ხასიათდება.

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საოპერაციო და ზედნადები ხარჯების დაზოგვით, რაც ხარჯების შემცირების ინიციატივებით იქნა მიღწეული, კომპანიამ გააუმჯობესა EBITDA და EBIT მაჩვენებლები, ვალუტის კურსის მერყეობისა და ხარჯების ინფლაციის მიუხედავად. მოგების დონის სტაბილური ზრდის პარალელურად, 2021 წელს კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადები გაიზარდა. საოპერაციო ფულადი ნაკადების სტაბილური შემოდინებები გამოყენებულ იქნა მიმდინარე სესხების შესამცირებლად კომპანიის დე-ლევერიჯის მიზნით.

ხარისხის კონტროლი

კომპანიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია პროდუქტის ხარისხი. მაღალი სტანდარტების შესანარჩუნებლად ხელმძღვანელობა ზედმიწევნით იცავს ხარისხის პარამეტრებს როგორც ბაზარზე, აგრეთვე საწარმოო ინფრასტრუქტურაში. ხარისხის დაცვა კი მთელი კომპანიის მასშტაბით ერთ-ერთი ძირითადი საწარმოო მაჩვენებელია.

კომპანია ფლობს სტანდარტების შემდეგ საერთაშორისო სერტიფიკატებს ჯანმრთელობის, ხარისხისა და უსაფრთხოების მიმართულებებით:

- ☐ **ISO 9001** – ხარისხის მართვის სისტემები;
- ☐ **ISO 22000** – საკვების უსაფრთხოების მართვის სისტემები;
- ☐ **ISO 180001** – საოკუპაციო ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების შეფასების სერიები;
- ☐ **ISO 50001** – ენერგო-მართვის სისტემები;
- ☐ **ISO 17025** – ტესტირებისა და კალიბრაციის ლაბორატორიები;

აღნიშნული სერტიფიკატების მოპოვების შედეგად, კომპანიამ შეიმუშავა ისეთი პროცესები და მართვის სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს ხარისხის შესაბამისი სტანდარტების არსებობასა და დაცვას.

რისკის მართვა

ზოგადი მიმოხილვა

კომპანიის ხელმძღვანელობა პერიოდულად ამოწმებს და აკვირდება ბიზნესთან და ზოგადად დარგთან დაკავშირებულ რისკებს და მათი ზემოქმედების შესამცირებლად იმუშავებს რისკის შემცირების გეგმებს. ამ თვალსაზრისით, კომპანიაში მოქმედებს „საწარმოო რისკების მართვის სისტემა“, რომლის მიხედვით, ყველა მოქმედი რისკი გამოვლინდება, ფასდება და შემცირების გეგმით რეაგირებას ექვემდებარება თითოეული

დეპარტამენტის უფროსის დონეზე. ხელმძღვანელობა ყველა რისკს პერიოდულად ამოწმებს და აფასებს. რეალური შედეგების მიმოხილვის საფუძველზე შესაძლებელია მოხდეს რისკის შემცირების გეგმის განახლება. რისკის შემცირების სამოქმედო გეგმაში აღნიშნულ ყველა რისკს განესაზღვრება შესრულების შესაბამისი ვადებისა და პასუხისმგებელი პირები.

მზარდი კონკურენცია

როგორც ზემოთაა აღნიშნული, ადგილობრივი ლუდის მწარმოებელი კომპანიების საწარმოო შესაძლებლობები აღემატება ბაზარზე რეალურად არსებულ მოთხოვნას, რაც საბოლოოდ იწვევს მარკეტინგული დანახარჯების გაზრდას და ასევე მარჟების ეროზიას.

მზარდი კონკურენციიდან მომდინარე პოტენციური რისკის შესამცირებლად კომპანია სისტემატურად ადგენს ახალი პროდუქტის შემუშავების გეგმებს, ახორციელებს აქტიურ მარკეტინგულ კამპანიებსა და გაყიდვების აქტივაციის გეგმებს, რათა ამის საშუალებით შეინარჩუნოს და გააძლიეროს ბაზარზე დაკავებული წამყვანი პოზიცია.

საცალო გამყიდველების გაზრდილი უფლებამოსილებები

მომხმარებელთა ქცევის ცვლილება და თანამედროვე ვაჭრობის კონსოლიდაცია იწვევს საცალო გამყიდველთა როლის ზრდას და ამცირებს სამრეწველო კომპანიების მათთან მოლაპარაკების უნარს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად ბაზრის მონაწილეებთან ღირებულების მატების ჯაჭვის გავლით ურთიერთობათა აგება-გაძლიერებას სასიცოცხლო როლი ენიჭება.

სავალუტო რისკი

საწარმოო პროცესში იმპორტირებული ნედლეულისა და შესაფუთი მასალების მაღალი კონცენტრაცია, ვალუტის გაცვლითი კურსების მერყეობის გამო, მომგებიანობის მაჩვენებლების არასტაბილურობას იწვევს.

ამასთან ერთად, კორონავირუსის, ეპიდემიის გავრცელების მოლოდინისა და საქართველოს ეკონომიკაზე მისი უარყოფით გავლენის მოლოდინის მიერ გამოწვეულმა ეკონომიკურმა შოკმა უცხოური ვალუტის ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობა და სხვა ვალუტებთან მიმართებაში ქართული ლარის გაუფასურება გამოიწვია.

ზემოქმედების შესამცირებლად კომპანია მიმართავს ჰეჯირების რამდენიმე საშუალებას, როგორებიცაა უცხოურ ვალუტაში ფულის გადინებისა და შემოდინების ფარდობის შენარჩუნება, ექსპორტის გაზრდითა და ღია სავალუტო პოზიციების შემცირებით. გარდა ამისა, შესყიდვების ჯგუფი მუდმივად მუშაობს ადგილობრივი მომწოდებლების აღმოჩენაზე, რათა თვითღირებულებაში იმპორტის წილი ადგილობრივი მიწოდებით ჩაანაცვლოს. ბოლო წლებში კომპანიამ მნიშვნელოვნად შეამცირა უცხოურ ვალუტაში აღებული სესხი ძირითანხის თანდათანობითი დაფარვით.

ლიკვიდობის რისკი

იმის გამო, რომ კომპანიის შესყიდვებისა და გაყიდვების დაფარვის პროცესები ერთმანეთს ზუსტად არ ემთხვევა, კომპანიას პოტენციური ლიკვიდობის რისკი წარმოექმნება. მის მისაღებ დონეზე დაწვეის მიზნით კომპანია საბრუნავი კაპიტალის მართვის სხვადასხვა მექანიზმს იყენებს. პირველ რიგში, საგანგებო ყურადღება ეთმობა თავისუფალი ფულადი ნაკადების მართვას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ წინა წელთან შედარებით 2021 წელს იგი საგრძნობლად გაიზარდა. გარდა ამისა, ხელმძღვანელობამ დაიწყო კრედიტით გადახდის პროცესის ოპტიმიზაცია, რამაც კომპანიას მეტი საშუალება მისცა ფულადი სახსრების ეფექტურად სამართავად.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფულადი ნაკადების გენერირებისა და კრედიტის მართვის მძლავრი პროცესის არსებობა კომპანიას ხელს უწყობს ლიკვიდობის რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნებაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

დამფუძნებელი კომპანიისგან აღებულ სესხებზე ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო კომპანიას ეკისრება საპროცენტო განაკვეთის რისკი. რისკი იზრდება უკანასკნელი წლების განმავლობაში Libor კურსის თანდათანობითი ზრდის გამო. თუ განაკვეთების ზრდა გაგრძელდა, ხელმძღვანელობას განზრახული აქვს რისკის შემცირება ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთების მატარებელი სესხების პორტფელის დაბალანსების გზით.

საქონლის ფასის რისკი

გაყიდული საქონლის თვითღირებულება ძირითადად მოიცავს მასალების ღირებულებას, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული საქონელზე მსოფლიო ფასებთან. ამდენად, ნებისმიერ გადახრას მოგების საგრძნობი მერყეობის გამოწვევა შეუძლია. თითოეული ფინანსური წლის დასაწყისიდან შესყიდვების დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული მომწოდებლებთან მოლაპარაკებების პროცესში, რათა გარკვეული პერიოდის განმავლობაში დააფიქსიროს ფასები და თავიდან აიცილოს მათი გაუთვალისწინებელი მერყეობა

მომავალი პერსპექტივები

კომპანია მიზნად ისახავს ბაზარზე მოწინავე პოზიციის გაძლიერებას და მხარს უჭერს ბაზრის წილის გასაზრდელად ახალი ბრენდების შემოტანისა და მარკეტინგული კამპანიების განხორციელების სტრატეგიას.

ძლიერი ბრენდული პორტფელიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა 2022 წლის განმავლობაში გაზრდილ საბაზრო მაჩვენებლებს ელის. 2021 წელს გაყიდვების მოცულობა და EBIT ინდიკატორი დამოკიდებული იქნება COVID-19-ის ეფექტიდან საქართველოს ეკონომიკის გამოსვლის სისწრაფეზე. ხელმძღვანელობის პროგნოზით, პანდემიის ეფექტს თუ არ გავითვალისწინებთ, როგორც გაყიდვები, აგრეთვე მოგება, წინა პერიოდთან შედარებით უნდა გაიზარდოს. გლობალური პანდემიისა და მისი კონტროლების მინავლების პარალელურად, კოვიდ-19-ის კომბინირებული უარყოფითი ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკაზე უნდა შემცირდეს. ეს განსაკუთრებით ეხება მგზავრობის აკრძალვის გაუქმებას, რაც ტურისტული შემოსავლების აღდგენას შეუწყობს ხელს.

მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება რუსეთ-უკრაინის ომის გარშემო მიმდინარე მოვლენებს, რათა მზად იყოს მომავალი რისკების განსაჭვრეტად და მათ შესამცირებლად დამატებითი ქმედებების განსახორციელებლად. მენეჯმენტის აზრით, ეფეს ბიერის ჯგუფის შესაძლებლობები ბიზნესის ყველა ფუნქციის მიმართულებით, კერძოდ, მიწოდების ქსელის თვალსაზრისით, დიდი აქტივია ამგვარი მერყევი საბაზრო გარემოებების წარმატებით დასაძლევად.

დარგში მზარდი კონკურენციისა და მაღალი მარკეტინგული დანახარჯების, აგრეთვე პანდემიის უარყოფითი ეფექტის მიუხედავად, კომპანია 2022 წელს მოელის EBITDA მაჩვენებლის გაუმჯობესებას.

სოციალური პასუხისმგებლობა

კომპანია პასუხისმგებლიანად რეაგირებს გარემოზე ზემოქმედების როლზე და იღებს ზომებს ამ ზემოქმედების მაქსიმალურად შესამცირებლად. კომპანია ფლობს ნარჩენი წყლების გამწმენდ ნაგებობას, სადაც საწარმოო მიზნით გამოყენებული წყალი სუფთავდება გარეთ გაშვებამდე. ეს ნაგებობა უნიკალურია და ერთადერთია ქართულ ლუდის წარმოებაში ტექნოლოგიითა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვის თვალსაზრისით.

კომპანია აქტიურადაა ჩართული საქველმოქმედო საქმიანობაში და ეხმარება ბავშვთა სახლს „ჩემი სახლი - საქართველო“. კომპანია საქველმოქმედო კამპანიის გაგრძელებას მომავალშიც გეგმავს.

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N220906177



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

19.07.2022 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სალომე სალუქვაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული,
კომერციული ფართი #4, 3ა

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

577921111

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

61569005059222



ორიათს ოცდაორი წლის ცხრამეტ ივლისს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის
სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული,
კომერციულ ფართი #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარგმანის ინგა რეხვიშვილის, დაბ. 10.02.1986წ. პირადი
#10001017562, პირბეჭდის მოწმობა #131C28849/დიპლომი #ISU #000258, გაცემული ილია ჭავჭავაძის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2008წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი
დოკუმენტის - საექციო საზოგადოება "ლომისი" 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის
ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, თარგმანზე. მე
ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ იგი პასუხს ავებს თარგმანის სისწორეზე. მან დამიდგინა, რომ
ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია
ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე. მე, ნოტარიუსი ვამოწმებ თარგმანის ხელისმოწერის სინამდვილეს და
არა დოკუმენტში წარმოდგენილი სამართლებრივი ფაქტების სიზუსტეს ან დოკუმენტის ნამდვილობას.
გადახდილია საბაჟო: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებებისათვის საბაჟოებისა და საქართველოს
ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდებიდან 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული
#507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 126.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ
რეგისტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი. სულ გადახდილია 131 (ასოცდაერთმეტი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის მისი შექმნის, შეცვლის და/ან
გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე:
www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

